



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
 მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია
 GEORGIA
 MTSKHETA MUNICIPALITY CITY HALL



ბრძანება:ბ34.34203383

თარიღი:03/12/2020

კორონავირუსთან დაკავშირებით დაწესებული შეზღუდვების შესრულების მონიტორინგის განმახორციელებელი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ვ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მესამე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის #322 დადგენილების საფუძველზე,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:

1.მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული იმ ობიექტების მონიტორინგის მიზნით, რომელთაც შეეხოს კორონავირუსთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის მიერ დაწესებული შეზღუდვები/რეგულაციები და ამ რეგულაციების დარღვევის პრევენციის მიზნით, შეიქმნას სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა)ჯგუფის ხელმძღვანელი: მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - თეიმურაზ ჯერვალიძე;

ჯგუფის წევრები:

ბ)ზედამხედველობის სამსახურის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი -გოჩა ბერიძე;

გ)ზედამხედველობის სამსახურის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა განყოფილების მეოთხე რანგის მე-2 კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი - თეიმურაზ ქველაძე;

დ)ზედამხედველობის სამსახურში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი - ნინო ქურთიაშვილი;

ე)სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი - ბესიკ მამულაშვილი;

ვ)ეკონომიკის სამსახურის შრომის უსაფრთხოების განყოფილების მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - გურამ მიჭელაშვილი;

2.ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე;

3.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში (მისამართი: ქ.მცხეთა, სამხედროს ქუჩა 17).

გივი გიუტაშვილი

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია-მერი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



